

ასე უნდა თამაში!

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 8 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (მოსკოვი) 2:0 (1:0).

"ლოკომოტივი": მასლაჩენკო, როგოვი, მორგუნოვი, ჩერნიკოვი, არტემიევი, კოვალიოვი, ზაიცევი, ვოროშილოვი, სოკოლოვი, ბუბუკინი, პარჩენკო (სოროვინი).

"დინამო": კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი (გაგნიძე).

მსაჯი ა. მუგურდუმოვი (კიევი).

ეს იყო მეტად ძნელი მატჩი. მოსკოვის რკინიგზელებს ამჟამად ჰყავთ ძლიერი კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში არიან მაღალი კლასის ფეხბურთელები (მათ შორის სსრ კავშირის ნაკრებისა და ოლიმპიური გუნდის წევრები), რომელთა რაოდენობა ყოფნის ცალკეული რგოლების თანაბრად დაკომპლექტებისათვის, ხოლო სატურნირო მდგომარეობა ცხრილის სათავეში "ლოკომოტივს" ავალდებულებს ყოველი მეტჩი (მითუმეტეს, ისეთ ახლო "მეზობელთან", როგორიც თბილისის "დინამოა") ჩაატაროს მაქსიმალური შესაძლებლობით.

მოსკოველებმა ასეც დაიწყეს თამაში. სულ ხუთიოდე წუთის განმავლობაში ბუბუკინი ორჯერ პირისპირ გავიდა მეკარესთან და კოტრიკაძემ ორივეჯერ გაბედული, ზუსტი ნახტომებით ააცალა მას ბურთი ფეხებიდან. ლოკომოტიველთა მთავარ "კოზირს" თავდასხმაში სწორედ ბუბუკინი წარმოადგენს, ამიტომ მისი დარაჯის - ზეინკლიშვილის უმთავრესი ამოცანა იყო ამ ფორვარდის ნეიტრალიზება. ზეინკლიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რაც დრო გადიოდა, იგი სულ უფრო უკეთესად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ამოცანას და მეორე ტაიმში ბუბუკინი საშიშროებას აღარ წარმოადგენდა "დინამოს" კარისათვის.

პირველი 10-15 წუთის თანაბარი ბრძოლის შემდეგ ინიციატივას თანდათან თბილისელები დაეუფლნენ. შესანიშნავად თამაშობდნენ მელაშვილი, ბარქაია, ღოღობერიძე. საპერო ბრძოლაში, როგორც ყოველთვის უძლიერესი იყო კალოევი და ამ ერთიან ანსამბლში მხოლოდ მესხს შეჰქონდა დისონანსი, რომელიც ჯიუტად არ ცდილობდა თამაშში რაიმე მონაწილეობის მიღებას და სავსებით მართალნი იყვნენ მწვრთნელები, როცა მის ნაცვლად მეორე ტაიმში გაგნიძე შემოიყვანეს მინდორზე. ვეტერანმა თავისი ახალგაზრდა წინამორბედისაგან განსხვავებით 45 წუთის განმავლობაში კეთილსინდისიერად ითამაშა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იამანიძე. მან ბრწყინვალე სტილში ჩაატარა თამაში, დიდი დატვრთვა აიღო თავის თავზე და გარდა იმისა, რომ მთლიანად გამოთიშა თამაშიდან ვოროშილოვი, შეტევის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორიც იყო. ქების ღირსია დაცვის მთელი შემადგენლობა და მეკარე კოტრიკაძე, რომლებმაც უზრუნველყველ კარის უხიფათობა ასეთ ძლიერ ფორვარდებთან ბრძოლაში.

პირველი ბურთი კალოევმა გაიტანა მე-18 წუთზე მასლაჩენკოს და მორგუნოვის შეუთანხმებლობის შედეგად - 1:0. შესვენების შემდეგ ბარქაიას ზუსტი გადაცემა თავით მიიღო მელაშვილმა და ულამაზესი ბურთი გაგზავნა კარში - 2:0.

გულშემატკივართა ხანგრძლივი ტაში თბილისის დინამოელთა ღირსეული  
დამსახურებაა არა მარტო ამ მატჩის მოგების, არამედ კარგი, მონდომებული და  
სტაბილური თამაშისთვის.

გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა დუბლიორთა შეხვედრაში - 2:1.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 9 აგვისტო, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან”